

სს „არდის“ გენერალურ დირექტორს
ქართლოს ყორანაშვილს

რეკომენდაცია

ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-20¹ მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ქართლოს,

2018 წლის 2 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N15539/18) მომართეს ს. ხ.-მ და ა. გ.-მ (შემდგომში განმცხადებლები), რომლებიც მიუთითებენ, რომ სს სადაზღვევო კომპანია „არდის“ (შემდგომში მოპასუხე) მხრიდან დაექვემდებარნენ ასაკის ნიშნით დისკრიმინაციას.

1. საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 29 სექტემბერს ს. ხ.-მ და ა. გ.-მ სამოგზაურო დაზღვევის მიღების მიზნით ინდივიდუალური განაცხადით მიმართეს სადაზღვევო კომპანია „არდის“, თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ.

2018 წლის 4 ოქტომბერს, ს. ხ.-მ და ა. გ.-მ შვილმა - თ. გ.-მ მიმართა სადაზღვევო კომპანია „არდის“ და მოითხოვა წერილობითი განმარტება უარის თქმის საფუძვლების თაობაზე. აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, 2018 წლის 4 ოქტომბერს სს სადაზღვევო კომპანია „არდიდან“ განმცხადებლებს წერილობით განემარტათ, რომ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის დაზღვევის და გადაზიდვის ასაკობრივი ზღვარი შიდა პოლიტიკით განისაზღვრება 70 წლით.¹

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ კომპანიის მიდგომა მიუთითებს ხანდაზმული პირების მიმართ სტერეოტიპულ წინასწარ განწყობაზე, რომლის მიხედვით, ხანდაზმული ადამიანები „ნაკლებად ჯანმრთელები“, „სუსტები“ არიან, რის გამოც, შესაძლოა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდეს. განმცხადებლების მითითებით, მათი ჯანმრთელობის

¹ შენიშვნა: ს. ხ. დაბადებულია 1943 წელს, ხოლო ა. გ. 1937 წელს.

მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მათ არ გააჩნიათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.²

განმცხადებლის მოსაზრებით, სადაზღვევო კომპანია „არდის“ მხრიდან სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმა, გულისხმობს, რომ ყველა ხანდაზმულმა ადამიანმა უარი უნდა თქვას აქტიურ ცხოვრებაზე და მოგზაურობაზე. ამგვარი დამოკიდებულება ხანდაზმულ ადამიანებს უზღუდავს შესაძლებლობას, თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ.

ამასთან, განმცხადებლებმა განმარტეს, რომ სამოგზაურო დაზღვევა აუცილებელი დოკუმენტია საზღვრის გადაკვეთისთვის, ხოლო დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმით სადაზღვევო კომპანია „არდი“ უზღუდავს მათ სხვა ქვეყნებში გადაადგილების შესაძლებლობას.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა სადაზღვევო კომპანია „არდიდან“. მოპასუხის განმარტებით, განმცხადებლების მიერ შევსებული განაცხადი/ანკეტა მოიცავდა კითხვარს, რომლის პასუხებზე დაყრდნობითაც კომპანიას უნდა შეეფასებინა მომავალში დასადები ხელშეკრულების სადაზღვევო რისკი. მოპასუხემ აღნიშნა, რომ განაცხადში/ანკეტაში მითითებული იყო, რომ ს. ხ. იმყოფებოდა მედიკამენტოზური მკურნალობის ქვეშ, ჰქონდა მეორე ტიპის დიაბეტი, ჩიყვი, კოქსატროზი და გაკეთებული ჰქონდა მენჯის ძვლების პროთეზირება, ა. გ. კი მუდმივად იღებდა არტერიული წნევის მარეგულირებელ მედიკამენტებს.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ განმცხადებლებს დაზღვევაზე უარი მათგან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ ეთქვათ, რაც განპირობებული იყო მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფისა და რისკის განსაზღვრით და რომ სადაზღვევო პროდუქტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება, რათა მომხმარებელი სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების რისკის შეფასება. ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულება მაღალი რისკის შემცველი გარიგებაა, რისკისა და პირობების წინასწარ სწორად განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ გაზრდილი რისკის მატარებლად ითვლება მომხმარებელი 65 წელს ზემოთ, შესაბამისად, მზღვეველი ინდივიდუალურად ადგენს ამ ასაკობრივი ზღვარის მქონე მომხმარებლებზე სამოგზაურო დაზღვევის გაყიდვის საკითხს.

² სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია ს. ხ.-ს და ა. გ.-ს მიერ სს სადაზღვევო კომპანია „არდიში“ წარდგენილი ჯანმრთელობის ინდივიდუალური დაზღვევის განაცხადები, რომლებშიც მითითებულია, რომ ს. ხ. იმყოფებოდა მედიკამენტოზური მკურნალობის ქვეშ, ჰქონდა მეორე ტიპის დიაბეტი, ჩიყვი, კოქსატროზი და გაკეთებული აქვს მენჯის ძვლების პროთეზირება. ა. გ. იღებდა არტერიული წნევის მარეგულირებელ მედიკამენტებს.

სახალხო დამცველმა სადაზღვევო კომპანიისგან ასევე გამოითხოვა შიდა პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ასაკობრივი ზღვარი სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების დადების მსურველთათვის; ასევე, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია კრიტერიუმების შესახებ, რომლითაც სადაზღვევო კომპანია „არდი“ 65 წელზე მეტი ასაკის პირთა რისკების შეფასებისას ხელმძღვანელობს და ინფორმაცია 70 წელზე მეტი ასაკის პირთა სტატისტიკური მონაცემების შესახებ, რომლებიც სარგებლობენ ან ისარგებლეს სადაზღვევო კომპანია „არდის“ სამოგზაურო დაზღვევით.

სახალხო დამცველის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, სს სადაზღვევო კომპანია „არდიმ“ წარმოადგინა დამოუკიდებელი სამოგზაურო დაზღვევის პროცედურის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამოგზაურო დაზღვევის პოლისის გაცემის წესს ფიზიკურ პირებზე, რომელთაც ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეუძლიათ კომპანიის დაზღვევის პოლისით სარგებლობა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სამოგზაურო დაზღვევა ითვალისწინებს საზღვარგარეთ განსაზღვრული ვადით ვიზიტის დროს გაუთვალისწინებელ, გადაუდებელ ავადმყოფობასთან ან უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას. გადამზღვეველთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, მზღვეველი, სამოგზაურო დაზღვევის პოლისის გაცემისას, ვალდებულია გაითვალისწინოს *დასაზღვევი პირის ასაკი, ჯანმრთელობა და ა. შ.* წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სამოგზაურო დაზღვევის განაცხადი განსახილველად ეგზავნება სამედიცინო დაზღვევის ანდერაიტინგის სამსახურს, რომელიც აფასებს რისკებს სადაზღვევო პირის ასაკზე, ანამნეზზე, მოგზაურობის მიზანსა და ხანგრძლივობაზე დაყრდნობით. მომეტებული რისკის არსებობის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია იტოვებს უფლებას, არ დააზღვიოს პირი, ხოლო ზომიერი რისკის არსებობის შემთხვევაში, დაზღვევის საკითხი წყდება დადებითად. *ამავე დოკუმენტის მიხედვით, მომეტებული რისკი სახეზეა, მათ შორის, 65 წლისა და ზემოთ პირების შემთხვევაში.*

2019 წლის 1 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი პირადად გაესაუბრა მხარეებს. ამ ეტაპზე, სახალხო დამცველისთვის მნიშვნელოვანი იყო დაეხუსტებინა, სამოგზაურო დაზღვევაზე უარის თქმის საფუძველი იყო კომპანიის შიდა რეგულაციებში აღნიშნული 65 წელი თუ კომპანიის მიერ განმცხადებლებისთვის გაგზავნილ წერილში მითითებული 70 წელი. კომპანია „არდის“ წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ სამედიცინო რისკების შეფასების გათვალისწინებით, კომპანიის პოლიტიკის თანახმად, სამოგზაურო სადაზღვევო პოლისის გაცემისთვის ზღვრული ასაკი არის 70 წელი. ამასთან, კომპანიის წარმომადგენელმა ვერ დაასახელა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული რეგულაცია წერილობით იქნებოდა გაწერილი. მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ ასეთი შეზღუდვა იმ საერთაშორისო გადამზღვეველების მოთხოვნაა, რომლებთანაც კომპანია „არდის“ ხელშეკრულებები აქვს დადებული.

სახალხო დამცველმა კომპანია „არდისგან“ დამატებით გამოითხოვა კომპანიის შიდა, ასაკის განმსაზღვრელი წერილობითი რეგულაციები და განმცხადებლების ჯანმრთელობის მდგომარეობის ინდივიდუალური შეფასების დოკუმენტები. სადაზღვევო კომპანია „არდის“ არ

წამოუდგენია დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა განმცხადებლების ჯანმრთელობის მდგომარეობის ინდივიდუალური შეფასების ფაქტს, რაც შესაძლოა შემდგომში სამოგზაურო ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო. წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში კი მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ დამდგარი შემთხვევისას, სადაზღვეო შემთხვევის რეგულირების მოქმედებებს ახორციელებს პარტნიორი გადამზიდველი ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, მათ უნდა მიეწოდებოდათ სრული ინფორმაცია და მხოლოდ მათთან კონსულტაციის შედეგად დადებულყო ხელშეკრულება. მოპასუხე სადაზღვეო კომპანიამ მიუთითა, რომ მოკლებულია შესაძლებლობას, ქვეყნის ფარგლებს გარეთ დამდგარი შემთხვევა უშუალოდ მისი თანამშრომელთა ჩართულობით დაარეგულიროს, შესაბამისად, გადამზიდველის მიერ უარყოფილ განცხადებაზე მზღვეველს არ შეუძლია ხელშეკრულების დადება.

2. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანასწორობის უფლება წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“³

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493 II, 1

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი *დასახული მიზნის არათანაზომიერია*.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე.ი. *არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.⁴

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არათანაბარი მოპყრობა ან პირობების შექმნა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ ის ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება და გამოყენებული საშუალება თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

2.1. კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას მოსარჩელე არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა

დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შეფასებისას, თავდაპირველად საჭიროა, განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას შესაძლოა პირს ხელი შეშლოდა.

მიმოსვლის თავისუფლება განმტკიცებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით.⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.

ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლისას, როგორც უვიზო მიმოსვლის, ასევე სავიზო რეჟიმის პირობებში, ნებისმიერი მოქალაქე გადის სასაზღვრო კონტროლს, რომლის შედეგად მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება შესაბამის ქვეყანაში მისი შესვლის თაობაზე.

⁴ ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, §§ 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, § 60

⁵ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 13; საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 12

სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელს უფლება აქვს მოსთხოვოს პირს სამგზავრო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.⁶

განმცხადებლებმა სს სადაზღვევო კომპანია „არდის“ მიმართეს სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების დადების მიზნით, აქედან გამომდინარე, წინამდებარე საქმეში, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ განმცხადებლებს შესაძლოა, ხელი შეშლოდათ მიმოსვლის თავისუფლებით სარგებლობაში.

2.2. ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი და პროპორციულობა

უფლებაში ჩარევასთან ერთად, იმისთვის რომ არათანაბარი მოპყრობა დადგინდეს, მნიშვნელოვანია შესადარებელი სუბიექტის საკითხი, რომელთან შედარებითაც განმცხადებლები არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

სს სადაზღვევო კომპანია „არდის“ მიერ განმცხადებლებს წერილობით განემარტათ, რომ **სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის დაზღვევის და გადაზიდვის ასაკობრივი ზღვარი შიდა პოლიტიკით განისაზღვრება 70 წლით.** აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში შესადარებელი სუბიექტები არიან 70 წელზე ნაკლები ასაკის ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც სამოგზაურო დაზღვევით სარგებლობენ ან/და შეუძლიათ ისარგებლონ.

სამოქალაქო კოდექსის მე-800 მუხლის თანახმად, *პირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, ვალდებულია დადოს ეს ხელშეკრულება, თუკი უარის თქმისათვის არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.* აღნიშნული გულისხმობს, რომ თუ სადაზღვევო კომპანია წინადადებას დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად აკეთებს პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, რეკლამების და სხვა საშუალებებით, მას არ აქვს უფლება დაუსაბუთებელი უარი უთხრას ხელშეკრულების დადებაზე და ვალდებულია კლიენტთან გააფორმოს დაზღვევის ხელშეკრულება. მზღვეველი ასეთი ვალდებულებისგან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის ან დაზღვევის ობიექტის მიმართ გააჩნია ისეთი სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა.⁷

კანონი სადაზღვევო კომპანიებს ანიჭებს უფლებას, სადაზღვევო რისკის შეფასებისას უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადაზღვევო რისკი განისაზღვრება, როგორც მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობას და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.⁸

⁶ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx>

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხლი 800, გვ. 114

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 4 ნოემბერი, 2016 წელი განჩინება, საქმე ას-760-728-2016 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

მიზეზი, რის გამოც სადაზღვევო კომპანიები ხანდაზმულ ადამიანებს უარს ეუბნებიან სადაზღვევო მომსახურების გაწევაზე, ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ისინი სეგმენტაციის ტექნიკას იყენებენ, რაც ავტომატურად დისკრიმინაციას არ ნიშნავს, თუკი მზღვეველს მისი დასაბუთება შეუძლია.

სეგმენტაციის ტექნიკის გამოყენების დროს:

- უნდა არსებობდეს ზუსტი, ახალი და რელევანტური მონაცემები, რომლებიც დაადასტურებს, რომ ასაკი მომატებულ რისკთან არის დაკავშირებული;
- აპლიკანტის მდგომარეობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და **შესაძლოა უარი არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ასაკს;**
- განსხვავებულ მოპყრობას აქვს ლეგიტიმური მიზანი და მისი მიღწევისთვის საჭირო ზომები სათანადო და აუცილებელია.⁹

ასაკის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა, შესაძლოა, რაციონალურ ფაქტორებსაც ემყარებოდეს და სოციალურ, ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდეს. თუმცა, ასევე შესაძლოა, ასეთი მიდგომა განზოგადებულ დასკვნებს და სტერეოტიპებს ეფუძნებოდეს. ასაკთან დაკავშირებული სტერეოტიპების მსხვერპლი შესაძლოა გახდნენ როგორც ახალგაზრდები, ისე ხანდაზმული ადამიანები. ეს ვარაუდები და დასკვნები ხშირად შეცდომაში შემყვანია და ვერ ასახავს ადამიანების ინდივიდუალურ მრავალფეროვნებას. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია ნეგატიურ სოციალურ შედეგებსაც იწვევს, როგორცაა საზოგადოებისგან ხანდაზმული ადამიანების გარიყვა და საბაზისო სერვისებსა და პროდუქტებზე მიუწვდომლობა.¹⁰

მხოლოდ ასაკი არ უნდა იქნას მიჩნეული ჯანმრთელობის მდგომარეობის საკმარისად ზუსტ ინდიკატორად. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ასაკი სტატისტიკურად არის დაკავშირებული ავადობის მაღალ მაჩვენებელთან, ადამიანის ინდივიდუალური გარემოებები შესაძლოა იმდენად განსხვავდებოდეს არსებული ტენდენციისგან, რომ ასაკი ამ ინდივიდზე დასკვნის გასაკეთებლად არასწორი ინდიკატორი აღმოჩნდეს.¹¹

წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ სს სადაზღვევო კომპანია „არდის“ მხრიდან სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე წერილობითი უარი ეფუძნებოდა მხოლოდ განმცხადებლების ასაკს. კერძოდ, როდესაც ს. ხ.-ს და ა. გ.-ს შვილმა - თ. თ, მიმართა სადაზღვევო კომპანია „არდის“ და მოითხოვა წერილობითი განმარტება უარის თქმის საფუძვლების თაობაზე, მოპასუხემ განმცხადებლებს წერილობით

⁹ Equinet European network of equality bodies, “Fighting Discrimination on the Ground of Age”, p.g. 35-36 ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: http://equineteurope.org/wp-content/uploads/2019/03/Age-Discrimination_updated-electronic.pdf

¹⁰ European Commission, age discrimination and european law - Employment & social affairs, Fundamental rights and anti-discrimination; 2005, p.g. 12

¹¹ European Commission, age discrimination and european law - Employment & social affairs, Fundamental rights and anti-discrimination; 2005, გვ. 35- 37

განუმარტა, რომ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის დაზღვევის და გადაზიდვის ასაკობრივი ზღვარი შიდა პოლიტიკით განისაზღვრება 70 წლით, რაც კომპანიის წარმომადგენელმა სახალხო დამცველის წარმომადგენელთან და განმცხადებელთან შეხვედრის დროსაც დაადასტურა.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში, არ შეფასდება განმცხადებლების ჯანმრთელობის მდგომარეობა და შესაძლო სადაზღვევო რისკები. რამდენადაც მოპასუხის წერილის თანახმად, უარი არა სადაზღვევო რისკების შეფასების შედეგად მიღებულ შედეგმა, არამედ განმცხადებლების 70 წელს ზემოთ ასაკმა განაპირობა.

ამასთან, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ, ვინაიდან სამოგზაურო დაზღვევა აუცილებელი დოკუმენტია საზღვრის გადაკვეთისთვის, დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე განმცხადებლებისთვის მხოლოდ ასაკის გამო უარის თქმით, სადაზღვევო კომპანია „არდიმ“ მათ სხვა ქვეყნებში გადაადგილების შესაძლებლობა შეუზღუდა.

სახალხო დამცველი იზიარებს განმცხადებლების მითითებას, რომ სადაზღვევო კომპანია „არდის“ მიერ მათთვის წერილობით მიწოდებული განმარტება სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე და ამ დოკუმენტში მითითებული წესი უზღუდავს ხანდაზმულ ადამიანებს შესაძლებლობას, თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ და მისდიონ აქტიურ ცხოვრებას. მსგავსი მიდგომა ასაკოვანი ადამიანების მიმართ არსებულ სტერეოტიპებს ეფუძნება და სადაზღვევო კომპანიების მსგავსმა ბლანკეტურმა მიდგომამ, შესაძლოა, მიუწვდომელი გახადოს ხანდაზმული ადამიანებისთვის სამოგზაურო დაზღვევა, რაც, თავის მხრივ, მიმოსვლის თავისუფლების უფლებაში ჩარევასაც გულისხმობს.

ამასთან, „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“, რომელიც 2017 წლის ნოემბერში შესაბამის სამოქმედო გეგმაში აისახა, მიუთითებს დაბერების პრობლემების მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმაზე. აღნიშნული სამოქმედო გეგმა თავის მხრივ განსაზღვრავს ვალდებულებებს, რომლის განხორციელებაც სახელმწიფოს დაევალა. აღნიშნული პოლიტიკის გატარების ვალდებულება წარმოიშვა სახელმწიფოს ნებისმიერ სფეროში. ვალდებულება მათ შორის მოიცავს ხანდაზმულთა საზოგადოებაში სრული ინტეგრაციისა და ჩართულობის უზრუნველყოფას და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.¹²

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ ზღვრულის ასაკის განსაზღვრა, რომლის მიღმა, პირს სამოგზაურო დაზღვევაზე უარი შაბლონურად ეთქმევა, გაუმართლებელია. კომპანიის მითითება, რომ მსგავსი კრიტერიუმი საერთაშორისო გამომზღვეველის მოთხოვნაა, ვერ იქნება გაზიარებული, რამდენადაც, საქართველოში მოქმედი ცალკეული სადაზღვევო კომპანიების წესების¹³ თანახმად, სამოგზაურო დაზღვევის

¹² ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: http://gov.ge/files/469_63003_384301_490.pdf

¹³ მაგალითად, იხილეთ: <http://tinsurancegeo-marketing.s3.amazonaws.com/tbcinsurance-website-fileswordingsTRI-001-18.pdf>; <https://www.gpih.ge/gpih/Travel/howmuch.php>;

გაცემისთვის დაწესებულია სხვადასხვა ზედა ზღვრული ასაკი, რომელზეც დაწესებულია განსხვავებული რეგულაციები (მაგალითად, უფრო მაღალი ფასი, სამედიცინო მომსახურების შეზღუდული სახეები), თუმცა, კონკრეტულ ასაკს ზემოთ მყოფი ადამიანები მომსახურების სფეროდან ავტომატურად გარიცხულნი არ არიან.

3. დასკვნა

განსახილველ საქმეში, სახალხო დამცველს წარმოეშვა ასაკის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის განხორციელების ვარაუდი, ხოლო მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები ამ ვარაუდის გასაქარწყლებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

შესაბამისად, საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მივიდა დასკვნამდე, რომ სს სადაზღვევო კომპანია „არდის“ მხრიდან ადგილი ჰქონდა ასაკის ნიშნით დისკრიმინაციას ს. ხ.-ს და ა. გ.-ს მიმართ, რასაც საფუძველად დაედო სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, რომლის დასაბუთება მხოლოდ განმცხადებლების ასაკზე მითითებას შეიცავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რეკომენდაციით მიმართავს სს სადაზღვევო კომპანია „არდის“

- მომსახურების გაწევაზე დაწესებული ასაკის ნიშნით შეზღუდვები დეტალურად ასახოს შიდა დოკუმენტებში;
- არ დაადგინოს ასაკი, როგორც მომსახურების გაწევაზე ერთმნიშვნელოვნად უარის თქმის საფუძველი;
- მომსახურების გაწევაზე ასაკის გამო უარი წერილობით დაასაბუთოს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში.

პატივისცემით,

https://www.imedil.ge/sites/default/files/portalistvis_gankutvnili_pirobebi_-_usd.pdf;

<https://www.iraog.ge/index.php/2013-02-02-12-00-07/travel-insurance> (word-ის ფაილია ჩამოსატვირთი);

https://www.primeinsurance.ge/ge/travel_insurance